საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ბრძანება:№97.97262681

თარიღი:25/09/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკონკურსო კომისიის

შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგის მიხედვით:

   1. მაყვალა ჩანქსელიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;

   2. ელდარ ლიპარტელიანი - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - საკონკურსო კომისიის წევრი;

   3. ნინო ცხომარია-ონიანი-hr (ადამიანური რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტი)- საკონკურსო კომისიის წევრი;

   4. ტარიელ აფაქიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -იურიდიული სამსახურის უფროსი -საკონკურსო კომისიის წევრი;

   5. ნაირა ლიპარტელიანი- საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსი სპეციალისტი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N97.97230461. 15.02.2023წ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის პირველი აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დავით პირველი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/

ვაკანსიის № 101333

პოზიციის დასახელება	ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტაჟიორი
კონკურსის ტიპი	სტაჟირება
ორგანიზაცია	ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
კატეგორია	იურიდიული
განცხადების ბოლო ვადა	10.09.2026
თანამდებობრივი სარგო	480 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	ლენტეხი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი

ფუნქციები

საკრებულოს მუშაობის სპეციფიკის გაცნობა;
კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება;
სამსახურეობრივი დოკუმენტაციის გაცნობა და სათანადო ინფორმაციით სარგებლობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი
საკრებულოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე დასწრება და მონაწილეობის მიღება

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	სტუდენტი
პროფესია	იურისტი

საკონკურსო თემატიკა

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ";
გ) საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"
დ) ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ"- ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო, დ. ლენტეხი, თამარ მეფის ქ.N24 .
საკონტაქტო ტელეფონები	599 85 26 89 ; 599852692
საკონტაქტო პირი	ნინო ცხომარია-ონიანი; საკრებულოს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი

დამატებითი მოთხოვნები

სტაჟიორად შეიძლება მიღებული იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის სახელმწიფო ენა
ბ) სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე საფეხურზე ან დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების პირველი ან მე-2 საფეხური 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში.
გ) აკადემიური მოსწრება (ქულათა სისტემა 71-100 ქულის მაჩვენებელი ან/და GPA 2.7 – 4.0)

დამატებითი ინფორმაცია

ანაზღაურებადი სტაჟირების ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს;
სტაჟირების მსურველმა პირმა უნდა vacancy.hr.gov.ge-ს ელექტრონული რეზიუმეს შესაბამის ველებში მიუთითოს/ატვირთოს:
1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ინფორმაცია სწავლის საფეხურისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (აუცილებელია, კანდიდატმა vacancy.hr.gov.ge-ის განათლების ველში მიუთითოს: საგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესია და ქულათა საშუალო მაჩვენებელი ან GPA);
3. სამოტივაციო წერილი;
4. ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი, მხოლოდ უცხოენოვანი დიპლომის შემთხვევაში.
კანდიდატს არ ევალება გამოითხოვოს და vacancy.hr.gov.ge-ზე ატვირთოს:
1. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის შესახებ ცნობა;
3. აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ქულათა საშუალო მაჩვენებელი ან/და GPA).

აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვას განახორციელებს შესაბამისი ორგანიზაცია, აპლიკანტის თანხმობის საფუძველზე, აპლიკანტის მიერ მითითებული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.
განაცხადის გამოგზავნით კანდიდატი ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება კონკურსის შესახებ შეტყობინებაში მოცემულ მოთხოვნებს, ფუნქციებსა და პირობებს. ასევე, ის თანახმაა, თავის განაცხადში მითითებული პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დამუშავდეს სტაჟიორის შერჩევის მიზნებით და ამასთან, გამოთქვამს თანხმობას ამავე კონკურსის ფარგლებში კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის მოძიების/გადამოწმების/გამოთხოვის თაობაზე.
პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:
- იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;
- იგი სჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;
- მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შეშოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;
- იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ იმავე საჯარო დაწესებულებაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

– გასაუბრებისას თანაბარი კანდიდატების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ უმაღლესი აკადემიური მოსწრების კანდიდატებს;

მნიშვნელოვანია, რომ იმ საჯარო დაწესებულებაში სტაჟირება, სადაც მუშაობა ითვლება საჯარო სამსახურად, ჩაითვლება საჯარო სამსახურის სტაჟში, ხოლო საჯარო დაწესებულებაში შემავალ საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირში სტაჟირება - საერთო სტაჟში/სამუშაო გამოცდილებაში.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

სტაჟირების მსურველი პირის შეფასებას განახორციელებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისია, არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება

საკვალდებულო ბლოკები

☑ პირადი ინფორმაცია

☑ განათლება კვალიფიკაცია

☑ სამოტივაციო წერილი

☑დამატებითი დოკუმენტაცია

ოქმი №1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტაჟიორის ვაკანტურ პოზიციაზე

საკონკურსო პირობებისა და ეტაპების განსაზღვრის შესახებ

12.08.2026წ

ლენტეხი

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N-177 დადგენილების მუხლი 2 პრიმა მუხლის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტაჟიორის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ განისაზღვრა კონკურსის პირობები, კონკურსის პროგრამა – საკონკურსო თემატიკა, კანდიდატთა შეფასების ფორმები და ჩატარების გრაფიკი.

საკონკურსო პირობები

პოზიციის დასახელება: საკრებულოს აპარატის სტაჟიორი.

კონკურსის ტიპი: ღია კონკურსი

თანამდებობრივი სარგო: 480 ლარი

ადგილების რაოდენობა: 1

სამსახურის ადგილმდებარეობა: თამარ მეფის ქN-24.

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა:

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა: საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემით. განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

საკონკურსო თემატიკა (ნორმატიული აქტები)

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის ,,საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილება.
- ----------

კონკურსის ეტაპები/ჩატარების გრაფიკი

- განაცხადების გადარჩევა –14 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე.
- კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი.
  - აუცილებელია, კანდიდატმა შეავსოს სამოტივაციო წერილის გრაფა.

- კონკურსის მეორე (კანდიდატის შეფასების) ეტაპზე გადასასვლელად კანდიდატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დოკუმენტები უნდა იყოს უტყუარი, სრულყოფილი და შეესაბამებოდეს საკონკურსო განაცხადში მითითებულ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებს;

- გასაუბრება - 22 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.
- კანდიდატის შეფასება ხდება პროფესიულ, მოტივაციასთან დაკავშირებულ და საქმიანი უნარების დამდგენ კითხვებზე გაცემული პასუხების შესაბამისად. ქულათა სისტემით: 1 - მიუღებელი ან ზედმეტად კვალიფიციური; 2 - საშუალოზე დაბალი; 3 - საშუალო/კომპეტენტური; 4 - კარგი; 5 - ძალიან კარგი.
  გარდა ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალისა, შემფასებელს აქვს უფლება, აირჩიოს შეფასების შემდეგი კატეგორიები: 1,3 ქულა, 2,5 ქულა, 4,4 და ა.შ.

გასაუბრებაზე გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მაღალ ქულას, მაგრამ არანაკლებ 3 ქულისა (მაქსიმალური ქულა - 5).

ყოველ მომდევნო ეტაპზე მონაწილეობისათვის აუცილებელია, კანდიდატი აკმაყოფილებდეს წინა ეტაპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კომისიის თავმჯდომარე: _____ //მ. ჩანქსელიანი/

კომისიის წევრი: _____ / ნ. ცხომარია-ონიანიი/

კომისიის წევრი: _____ /ნ. ლიპარტელიანი/

კომისიის წევრი: _____ /ე. ლიპარტელიანი/

კომისიის წევრი:: _____ /ტ-აფჯიძე/

ოქმი №2

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტაჟიორთა კონკურსში მონაწილე კანდიდატთა განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ

ლენტეხი 18.09.2026 წ.

2026 წლის პირველ სექტემბერს გამოცხადდა ღია კონკურსი ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტაჟიორთა ვაკანტურ პოზიციაზე. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადად განისაზღვრა 2026 წლის 10 სექტემბერი.

კონკურსზე წარმოდგენილ იქნა სამი ელექტრონული განაცხადი. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა საკონკურსო კომისიის დავალებით, დაადგინა წარმოდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განაცხადის პირველადი გადარჩევის შედეგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

№	სახელი, გვარი	განაცხადის შესაბამისობა ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან შეუსაბამობის ძირითადი მიზეზ(ებ)ი
1	დიმიტრი ფურელიანი პ/ნ 27001008151	შესაბამისი	
2	ნანა ჯანელიძე პ/ნ27001007203	შეუსაბამო	პროფესია არ არის თანხვედრაში დაწესებულების მიერ გამოცხადებულ ვაკანსიასთან
3	კახა ქურასბედიანი პ/ნ27001998135	შეუსაბამო	პროფესია არ არის თანხვედრაში დაწესებულების მიერ გამოცხადებულ ვაკანსიასთან
4			
5			
6			
7			

მიღებული შედეგების მიხედვით, კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავიდა **ერთი** კანდიდატი- დიმიტრი ფურელიანი.

ოქმი გასაცნობად წარედგინა კომისიის წევრებს. მათი მხრიდან შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე _____ _____ /შ. ჩანქსელიანი/

კომისიის წევრი

/ნ. ცხომარია-ონიანი/

კომისიის წევრი

/ნ. ლიპარტელიანი/

კომისიის წევრი

/ე. ლიპარტელიანი/

კომისიის წევრი:

/ტ. აფაქიძე/

1

ოქმი №3

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტაჟიორის კონკურსის

საბოლოო შედეგების შესახებ

ლენტეხი

23.09.2026წ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტაჟიორის მიმდინარე კონკურსის ფარგლებში კანდიდატთა შეფასების ეტაპზე გაიმართა **გასაუბრება**-2026 წლის 23 სექტემბერს.

გასაუბრებას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები: მაყვალა ჩანქსელიანი - კომისიის თავ-რე, ნინო ცხომარია-ონიანი -კომისიის წევრი, ნაირა ლიპარტელიანი-კომისიის წევრი, ელდარ ლიპარტელიანი-კომისიის წევრი და ტუღუ აფაქიძე-კომისიის წევრი.

გასაუბრების მსვლელობისას კომისიის წევრების მიერ დასმული იქნა პროფესიული კითხვები - ვაკანსიის განაცხადში მოცემული თემატიკიდან გამომდინარე. კანდიდატებისთვის, ასევე, დასმული იყო კითხვები მათი გამოცდილების, მოტივაციის, პროფესიული გეგმების, მოლოდინებისა და ვაკანსიის განაცხადში მოცემული, პოზიციისთვის აუცილებელი კომპეტენციების შესაფასებლად.

კონკურსანტის მიერ გაცემული პასუხების შესაბამისად, კომისიის წევრების მიერ შევსებული იქნა პროფესიული და პიროვნული მახასიათებლების მიხედვით შეფასების ფორმა; მიღებული ქულები დაჯამებულ იქნა კანდიდატთა ჯამური შეფასების ფორმაში (იხ. თანდართული ფორმა).

მიღებული შედეგები ასეთია:

№	სახელი, გვარი	შეფასების ქულა
1	დიმიტრი ფურელიანი პ/ნ 27001008151	21.5
2		
3		
4		
5		

შედეგის გათვალისწინებით, კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში **სტაჟიორის** ვაკანტურ პოზიციაზე დასანიშნად დიმიტრი ფურელიანის კანდიდატურის წარდგენის შესახებ.

ოქმი გასაცნობად წარედგინა კომისიის წევრებს. მათი მხრიდან შენიშვნები არ გამოთქმულა.

ε

ჯამური შეფასების ფორმა

კანდიდატი	კომისიის წევრი	კომისიის წევრი	კომისიის წევრი	კომისიის წევრი	საშუალო ქულა
დიმიტრი ფურელიანი	მაყვალა ჩანქსელიანი	თავ-=რე			4
დიმიტრი ფურელიანი	ნინო ცხომარია-ონიანი	წევრი			4.5
დიმიტრი ფურელიანი	ნაირა ლიპარტელიანი	წევრი			4.5
დიმიტრი ფურელიანი	ელდარ ლიპარტელიანი	წევრი			4.5
დიმიტრი ფურელიანი	ტულუ აფაქიძე	წევრი			4

კომისიის თავმჯდომარე: //მ. ჩანქსელიანი/

კომისიის წევრი: / ნ. ცხომარია-ონიანი/

კომისიის წევრი: /ნ. ლიპარტელიანი/

კომისიის წევრი: /ე. ლიპარტელიანი/

კომისიის წევრი:: /ტ. აფაქიძე/

საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ბრძანება:№97. 97262731
თარიღი:30/09/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატში სტაჟიორად დიმიტრი ფურელიანის აყვანის და შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, IX[1] თავისა და საჯარო დანესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილების მე-2[1] მუხლის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუფორმდეს შრომითი ხელშეკრულება (N18 01.10.2026 წ.) დიმიტრი ფურელიანს (პ/ნ 27001008151) და მიღებული იქნას ის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორად) 2026 წლის პირველი ოქტომბრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

   დასაქმებული დაკისრებულ სამუშაოს შეასრულებს მიმდინარე წლის 01 ოქტომბრის N-17 შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

2. სტაჟიორის სახელფასო სარგო განისაზღვროს 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარის ოდენობით;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში ;

4. ბრძანება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას;

5. ბრძანება ძალაშია 2026 წლის პირველი ოქტომბრიდან.

საფუძველი: დიმიტრი ფურელიანის განცხადება N101333 ვაკანსიაზე 07.09.2026 წ.

დავით პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სტაჟირების სარეკომენდაციო ხელშეკრულებაN18

01.10.2026 წელი **დ. ლენტეხი**

ერთი მხრივ, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოდგენილი დავით პირველის სახით და, მეორე მხრივ, სტაჟიორი დიმიტრი ფურელიანის(პირადი ნომერი27001008151), ვმოქმედებთ რა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, IX[1] თავისა და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების მე-2[1] მუხლის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომ – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი, სტაჟიორის ფუნქციები

1.1 ხელშეკრულების საგანია, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, სტაჟიორის მიერ პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 სტაჟიორის ფუნქციებს წარმოადგენს:

1.2.1 კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება;

1.2.2სამსახურეობრივი დოკუმენტაციის გაცნობა და სათანადო ინფორმაციით სარგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

1.2.3საკრებულოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე დასწრება და მონაწილეობის მიღება.

მუხლი 2. სტაჟიორის უფლება-მოვალეობები

2.1 სტაჟიორს უფლება აქვს, სტაჟიორის მენტორის თანხმობით:

2.1.1 გაეცნოს მთლიანად ორგანიზაციისა და ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულისა მუშაობის სპეციფიკას, კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში;

2.1.2 გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, მათ შორის, საარქივო მასალებს;

2.1.3 ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებით და სხვა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2.1.4 დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

2.2 სტაჟიორი უფლებამოსილია:

2.2.1 მოითხოვოს უსაფრთხო სამუშაო გარემოს და სათანადო პირობების შექმნა პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

2.2.2 შეატყობინოს ორგანიზაციის ხელმძღვანელს სტაჟირების მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ დასაბუთებული წერილობითი ფორმით;

2.2.3 პირადი განცხადების საფუძველზე მოითხოვოს სტაჟირების შეწყვეტა;

2.2.4 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

2.3 სტაჟიორი ვალდებულია:

2.3.1 დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრება სტაჟიორის მენტორის მიერ და რომელიც გამომდინარეობს ორგანიზაციისა და ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან;

2.3.2 დაიცვას ორგანიზაციის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, სტაჟირების თავისებურებათა გათვალისწინებით;

2.3.3 დაიცვას „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპები და თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საჯარო სამსახურის რეპუტაციას;

2.3.4 როგორც სტაჟირების მიმდინარეობისას, ისე სტაჟირების შეწყვეტის შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, სხვა პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია („საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით), რომლებიც მისთვის სტაჟირების პერიოდში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი;

2.3.5 სტაჟიორის უფლებამოსილება განახორციელოს რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით და რაციონალურად ისარგებლოს ორგანიზაციის ქონებით, რომელიც ორგანიზაციის გამართულ საქმიანობას ემსახურება;

2.3.6 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.4 სტაჟიორის სამუშაო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები განისაზღვრება ორგანიზაციის შინაგანაწესის შესაბამისად;

2.5 სტაჟიორს არ აქვს უფლება, ორგანიზაციის ქონება და სხვა რესურსები პირადი მიზნით გამოიყენოს.

მუხლი 3. ორგანიზაციის უფლებები და მოვალეობები

3.1 ორგანიზაცია ვალდებულია:

3.1.1 გააცნოს სტაჟიორს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი შესაბამისი კანონმდებლობა და შინაგანაწესი, რაც დასტურდება ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით;

3.1.2 შეუქმნას სტაჟიორს უსაფრთხო სამუშაო გარემო და სათანადო პირობები პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შესაძენად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

3.1.3 სტაჟირების მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზების შესახებ სტაჟიორის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები აღნიშნული ხარვეზის შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით;

3.1.4 სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე სტაჟიორს, მოთხოვნის შემთხვევაში, სასწავლო პროცესთან სტაჟირების ინტეგრირების მიზნით დაუდგინოს სტაჟირების სპეციალური გრაფიკი - სტაჟიორის მენტორის წარდგინებით/თანხმობით;

3.1.5 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სტაჟიორის მენტორი

4.1. ხელშეკრულება დადებულად ითვლება მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

4.2 ხელშეკრულება ძალაში შედის **2026 წლის 1 ოქტომბრიდან** და მოქმედებს **2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4.3 სტაჟიორის მენტორად განისაზღვრა - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის საკრებულოსთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ნატო გუგავა.

მუხლი 5. სტაჟიორის შრომის ანაზღაურება

5.1. სტაჟიორის შრომის ანაზღაურება შეადგენს 480 (ოთხას ოთხმოცი) **ლარს** თვეში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2. სტაჟიორის შრომის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. სტაჟიორთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

6.1.1. სტაჟიორის პირადი განცხადება;

6.1.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;

6.1.3 საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირება;

6.1.4 საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

6.1.5 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

6.1.6 სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

6.1.7 სტაჟიორის მიმართ სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

6.1.8 მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან გათავისუფლება განისაზღვრა;

6.1.9 სახელმწიფო სამსახურში ან საჯარო სამსახურში თანამდებობაზე დანიშვნა;

6.1.10 ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა სამკურნალო მიზნით მისი მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმებისთვის თავის არიდება;

6.1.11 გარდაცვალება.

მუხლი 7. დავის სამართლებრივი გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მხარეებთან. ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

8.2 ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია ორგანიზაციის შინაგანაწესი, რომელსაც იცნობს სტაჟიორი, რაც დასტურდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერით;

8.3 ხელშეკრულების მხარეთა შორის ურთიერთობები, რომელთაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.4 ხელშეკრულების მხარეები ადასტურებენ თანხმობას მის შინაარსზე.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები:

(ხელმოწერა)

დავით პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამარ მეფის ქ.N24
დ. ლენტეხი

(ხელმოწერა)

დიმიტრი ფურელიანი

სტაჟიორი

კოსტავას ქ N6
დ. ლენტეხი